



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030429191671316

№ 04-369/ა

29 / ივნისი / 2016 წ.

„ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის N01-16/ნ ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიებების თაობაზე “ სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 8 ივნისის N04-160/ა ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის N01-16/ნ ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიებების თაობაზე “ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 8 ივნისის N04-160/ა ბრძანებაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები“ (დანართი N1) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ) ინსტრუქცია მეურვეობა/მზრუნველობა/მხარდაჭერის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში მონაცემების განთავსების პირობების შესახებ (დანართი N6).“.

2. დაევალოთ:

ა) სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტოს) ტერიტორიულ ერთეულებს (გარდა აჭარის ა/რ ფილიალისა) - წარმოებაში არსებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მიმდინარე (აქტიური) შემთხვევების შესახებ შესაბამისი მონაცემების მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა ერთიან ბაზაში (შემდგომში - ბაზა) განთავსება წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან, ამავე ბრძანების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი N6-ის შესაბამისად;

ბ) სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს (გარდა აჭარის ა/რ ფილიალისა) - ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული მონაცემების განთავსება 2016 წლის 31 აგვისტომდე შემდეგ ბმულზე: 172.17.8.48/Guardianship;

გ) სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ა/რ ფილიალის, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების უფროსებს, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის სერვის ცენტრების უფლებამოსილ (სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 07 დეკემბრით № 04-445/ო ბრძანებით განსაზღვრულ) პირებს - სამოქმედო არეალის მიხედვით, კოორდინაცია გაუწიონ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების განთავსების პროცესს და მიმდინარეობის/შედეგების შესახებ აცნობონ სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტს არაუგვიანეს 2016 წლის 1 სექტემბრისა.

3. წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ ბაზაში შესაბამისი მონაცემების განთავსება განხორციელდეს წინამდებარე ბრძანების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართის N6-ის შესაბამისად.
4. ამ ბრძანების ამოქმედებიდან შეწყდეს მონაცემების განთავსება სააგენტოს სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის მიერ შექმნილ „მეურვეების ბაზაში“.
5. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების უფროსების (მათ შორის, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის შემთხვევაში - უფლებამოსილი პირების) უფლებამოსილების ცვლილებასთან დაკავშირებული (გათავისუფლება, დანიშვნა, მათ შორის მოვალეობის დროებით დაკისრება და ა.შ) სააგენტოს დირექტორის ბრძანების მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტისათვის მიწოდება.
6. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ssa.gov.ge.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

ინსტრუქცია მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში
მონაცემების განთავსების პირობების შესახებ

მუხლი 1.

1. ეს ინსტრუქცია შემუშავებულია მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (შემდგომში - ბაზა) მონაცემების განთავსებისა ბაზის ადმინისტრირების მიზნით, განსაზღვრავს ბაზაში მონაცემების განთავსება/ადმინისტრირება/წვდომაზე უფლებამოსილ პირთა წრეს, განსათავსებელი მონაცემების კატეგორიას, მონაცემების ბაზაში ასახვის, მასში განსახორციელებელი მოქმედებებისა და მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე (გეგმიურ, არაგეგმიურ სასამართლოს მიერ დადგენილ) ზედამხედველობის განხორციელების ვადებს.
2. ბაზის ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

მუხლი 2.

ბაზა წარმოადგენს მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა ერთიან ელექტრონულ მოდულს და მასში აისახება ინფორმაცია

ა) მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის (დროებითი მხარდაჭერის) დაწესების თითოეული შემთხვევის შესახებ;

ბ) სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირისა და მისი მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის პირადი მონაცემები;

გ) მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის დაწესების, უფლებამოსილების შეჩერების, გათავისუფლების, გადაყენების, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების, მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეწყვეტის, ბათილობის, გაუქმების, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ამგვარი ურთიერთობების წარმოშობის/შეცვლის ან შეწყვეტის საფუძვლების შესახებ;

დ) სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის ქონებრივი უფლებების რეალიზაციის, საქორწინო ხელშეკრულების შესახებ;

ე) მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევების ზედამხედველობის განხორციელების ვადების და შედეგები;

ვ) მონაცემები, რაც უკავშირდება სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღებ პირს, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოსა და სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მნიშვნელოვანია მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.

მუხლი 3.

ბაზაში მონაცემების ადმინისტრირებაზე უფლებამოსილია:

ა) სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველო;

ბ) სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული/საქალაქო განყოფილების უფროსი, ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსი, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრისა და თბილისის საქალაქო ცენტრის უფროსი სოციალური მუშაკი (გარდა მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამით მომუშავე უფროსი სოციალური მუშაკისა)- შემდგომში ადმინისტრატორი.

მუხლი 4.

ბაზაში მონაცემების განთავსებაზე უფლებამოსილი არიან ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული ტერიტორიული ერთეულების სოციალური მუშაკები.

მუხლი 5.

1. ბაზაში არსებულ მონაცემებზე წვდომა აქვს:

ა) სოციალური მომსახურების სააგენტოს (ცენტრალური აპარატი);

ბ) ადმინისტრატორს - მხოლოდ მის ტერიტორიულ ერთეულში დასაქმებული/მიმაგრებული სოციალური მუშაკის მიერ განთავსებულ მონაცემებზე;

გ) სოციალურ მუშაკს - მხოლოდ მის მიერ განთავსებულ მონაცემებზე;

დ) სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრის უფროსს და/ან უფროსის მოადგილეს (შესაბამისი მიმართულების კურატორი) - ამავე ცენტრის წარმოებაში არსებულ შემთხვევებზე;

ე) თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის უფროსს - ამავე ცენტრის წარმოებაში არსებულ შემთხვევებზე და შესაბამისი სერვისცენტრის უფლებამოსილ პირს - მხოლოდ სერვისცენტრის წარმოებაში არსებულ შემთხვევებზე;

2. რეგიონის ფარგლებში წარმოებულ შემთხვევებზე, ბაზაში განთავსებულ მონაცემებზე წვდომა აგრეთვე შესაძლებელია ჰქონდეს:

ა) სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრის უფროსს და/ან უფროსის მოადგილეს (შესაბამისი მიმართულების კურატორი);

ბ) სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის უფროსს, უფროსის მოადგილეს (შესაბამისი მიმართულების კურატორი) და უფროს სოციალურ მუშაკს;

დ) მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სუბიექტებს.

ბაზის ადმინისტრირებაზე და მასში მონაცემების გავთავსებაზე უფლებამოსილი მომხმარებლების დამატება/რედაქტირება/წაშლა

მუხლი 6.

1. წინამდებარე ინსტრუქციის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული პირის, როგორც ადმინისტრატორს, ბაზაში რეგისტრაციას ახორციელებს ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული პირი (მომხმარებლის დამატება).
2. ადმინისტრატორის არყოფნის შემთხვევაში, ტერიტორიული ერთეული დაუყოვნებლივ აცნობებს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტს და უგზავნის უფლებამონაცვლე პირის მონაცემებს (შესაბამის ბრძანებას), რაც შემდგომში აისახება ბაზაში (მომხმარებლის დამატება/რედაქტირება/წაშლა).
3. სოციალური მუშაკს, როგორც მონაცემების განთავსებაზე უფლებამოსილ პირს, ბაზაში არეგისტრირებს ადმინისტრატორი (მომხმარებლის დამატება).
4. სოციალური მუშაკის არყოფნის შემთხვევაში, ადმინისტრატორი შესაბამის ცვლილებას ასახავს ბაზაში (მომხმარებლის დამატება/რედაქტირება/წაშლა).

- ამ მუხლის 1-ლი - მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მოქმედებები ბაზაში განხორციელდება უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი ინფორმაციის „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის“ მეშვეობით მიღების დღეს. თუ ამგვარი ინფორმაცია უფლებამოსილმა პირმა მიიღო სამუშაო დღის 17:00 საათის შემდეგ, ბაზაში შესაბამისი ასახვა განხორციელდება არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 17:00 საათისა.

დაწესებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევის რეგისტრაცია

მუხლი 7.

- დაწესებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევის ბაზაში ასახვის/რეგისტრაციის საფუძველია:

ა) მეურვეობის/მზრუნველობის დაწესების შეწყვეტის შემთხვევაში - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

ბ) მხარდაჭერის დაწესების შემთხვევაში - სასამართლოს მიერ პირის მხარდამჭერად დანიშვნის შესახებ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

- ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე შემთხვევის რეგისტრაციას ახორციელებს სოციალური მუშაკი, შესაბამისი გადაწყვეტილების „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის“ მეშვეობით მიღების დღეს. თუ გადაწყვეტილება სოციალურმა მუშაკმა მიიღო სამუშაო დღის 17:00 საათის შემდეგ, ბაზაში მისი ასახვა განხორციელდება არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 17:00 საათისა.
- მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევის შესახებ მონაცემები, რომელზედაც მიღებული გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში, ბაზაში განთავსებას ექვემდებარება ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღეს. თუ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მონაცემები ბაზაში განთავსდება მომდევნო სამუშაო დღის 17:00 საათამდე.

მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის შედეგების, დაწესებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეწყვეტის ან შეჩერების ფაქტის ბაზაში ასახვა

მუხლი 8.

მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის შედეგები ბაზაში აისახება სოციალური მუშაკის მიერ ვიზიტის განხორციელების ან ინფორმაციის მიღების (სადაც ვიზიტის განხორციელება არ არის სავალდებულო) დღიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში.

მუხლი 9.

1. დაწესებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეწყვეტის ფაქტის ბაზაში ასახვის საფუძველია:

ა) დაწესებული მეურვეობის/მზრუნველობის შეწყვეტის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (შეწყვეტა, ბათილად ცნობა, ძალადაკარგულად გამოცხადება, არარა აქტად ცნობა, დაკისრებული მოვალეობის შესრულებისგან გადაყენება, გათავისუფლება და სხვა);

ბ) მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ მეურვეობის/მზრუნველობის დაწესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების, გაუქმების შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (შეწყვეტა, ბათილად ცნობა, ძალადაკარგულად გამოცხადება, არარა აქტად ცნობა, დაკისრებული მოვალეობის შესრულებისგან გადაყენება, გათავისუფლება);

გ) მეურვის/მზრუნველის გარდაცვალება;

დ) სამეურვეო/სამზრუნველო პირის გარდაცვალება;

ე) სრულწლოვანზე დაწესებული მეურვეობის შემთხვევაში - 2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ფსიქოსოციალური შეფასება, რომლის საფუძველზეც სასამართლოს მიერ მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება (პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის ან პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ);

ვ) დაწესებული მხარდაჭერის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

ზ) მხარდამჭერი პირის გარდაცვალება;

თ) მხარდასაჭერი პირის გარდაცვალება;

ი) გავიდა მხარდაჭერის დაწესების კანონმდებლობით გათვალისწინებული ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული (შეწყვეტის ფაქტის) გადაწყვეტილების საფუძველზე ბაზაში მონაცემების ასახვას სოციალური მუშაკი განახორციელებს, მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილების „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის“ მეშვეობით მიღების შემთხვევაში.
3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“, „დ“, „ზ“, „თ“, „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ბაზაში ასახვას ექვემდებარება, როდესაც ამგვარი მონაცემების შესახებ ცნობილი გახდება არამხოლოდ „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის“ საშუალებით.
4. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ფაქტი/ინფორმაცია ბაზაში უნდა აისახოს ინფორმაციის მიღების დღის 17:00 საათამდე. თუ ამგვარი ინფორმაცია მიღებულია სამუშაო დღის 17:00 საათის შემდეგ, ბაზაში მისი ასახვა განხორციელდება არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 17:00 საათისა.

მუხლი 10.

1. დაწესებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეჩერების ან შეჩერებული ურთიერთობების აღდგენის ფაქტის ბაზაში ასახვის საფუძველია:

ა) დაწესებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეჩერების, მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის უფლებამოსილების შეჩერების ან შეჩერებული ურთიერთობების აღდგენის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

ბ) ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის საქართველოს საზღვრებს გარეთ ყოფნის ან საქართველოში დაბრუნების ფაქტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღება.

გ) ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრების ან ამ ტერიტორიიდან საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადმოსვლის ფაქტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღება.

ე) სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის ან/და ამ დაწესებულების დატოვების ფაქტის შესახებ მიღებული შესაბამისი ინფორმაცია.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (შეჩერების ფაქტის) გადაწყვეტილების საფუძველზე ბაზაში მონაცემების ასახვას სოციალური მუშაკი განახორციელებს, მხოლოდ „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით“ მიღების შემთხვევაში.
3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ბაზაში ასახვას ექვემდებარება, როდესაც ამგვარი მონაცემების შესახებ ცნობილი გახდება არამხოლოდ „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის“ საშუალებით.
4. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ფაქტი/ინფორმაცია ბაზაში უნდა აისახოს ინფორმაციის მიღების დღის 17:00 საათამდე. თუ ამგვარი ინფორმაცია მიღებულია სამუშაო დღის 17:00 საათის შემდეგ, ბაზაში მისი ასახვა განხორციელდება არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 17:00 საათისა.

ბაზაში რეგისტრირებული (სტატუსით: აქტიური, შეჩერებული, გადაგზავნილი, უკან დაბრუნებული) მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევის გადაგზავნა/მიღება/გადაწერა/უკან დაბრუნება

მუხლი 11.

1. რეგისტრირებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევის ბაზაში ერთი ტერიტორიული ერთეულიდან მეორეში გადაგზავნას ან გადაგზავნილი რეგისტრირებული შემთხვევის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულიდან უკან დაბრუნებულის მიღებას ახორციელებს შესაბამისი საქმისმწარმოებელი სოციალური მუშაკი დამოუკიდებლად, ადმინისტრატორის გარეშე.
2. შესაბამისი საქმისმწარმოებელი უფლებამოსილი სოციალური მუშაკის მიერ ერთი ტერიტორიული ერთეულიდან მეორე ტერიტორიულ ერთეულში

გადაგზავნილი რეგისტრირებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევის ბაზაში უკან დაბრუნებას, მიღებას ან/და მიღებული საქმის შესაბამისი სოციალური მუშაკისათვის გადაწერას ახორციელებს ადმინისტრატორი.

3. ადმინისტრატორი, გადანაწილების ან შესაბამისი ფაქტების ბაზაში დროულად ასახვის მიზნით, თავის ტერიტორიულ ერთეულში ახორციელებს სოციალურ მუშაკებს შორის რეგისტრირებული მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევ(ებ)ის ბაზაში გადაწერას.
4. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მოქმედებები შესრულდება „დოკუმენტრუნვის ელექტრონულ სისტემაში“ არსებული ინფორმაციის შესაბამისად, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, თუ არ არსებობს ამ ინსტრუქციის მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული ფაქტების/ინფორმაციის ბაზაში ასახვის წინაპირობები.

მუხლი 12.

შესაბამისი ფაქტების/ინფორმაციის ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ პირებისთვის დროულად მიწოდების მიზნით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ამგვარი მონაცემების ბაზაში დადგენილ ვადებში ასახვას, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების უფროსები, უფლებამოსილების ფარგლებში, ვალდებული არიან გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინონ სათანადო რეაგირება.

გარდამავალი დებულება

მუხლი 13.

1. წინამდებარე ინსტრუქციის ამოქმედებამდე სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში არსებულ მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მიმდინარე (აქტიურ) შემთხვევების ბაზაში განთავსება განხორციელდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.
2. ინსტრუქციის პირობები ვრცელდება, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებზე, ბაზაში ასახვის/რეგისტრაციის დღიდან.

**მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის
განხორციელების წესი და პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305¹-ე და 1305⁶-ე მუხლების გათვალისწინებით და განსაზღვრავს მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობების შესრულებაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო და მისი ტერიტორიული ერთეულები) მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

2. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი თავად არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

მუხლი 2. ზედამხედველობის ფარგლები და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები

1. მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) და მისი ტერიტორიული ერთეულების (შემდგომში – მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო) ფუნქციას, რომელიც ხორციელდება ამ წესით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. პენიტენციურ დაწესებულებებში სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის მოთავსებისა და იქ ყოფნის პერიოდში ჩერდება მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობა. ამ შემთხვევაში ამ პირთა მიმართ ზედამხედველობის ფარგლები მოიცავს მხოლოდ მათ შესახებ შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონულ ბაზაში განთავსებას.

3. საზღვარგარეთ მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის გასვლის და/ან სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის გაყვანის შემთხვევაში ჩერდება მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობა სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირისა ან/და მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქართველოში დაბრუნებამდე. ამ შემთხვევაში ამ პირთა მიმართ ზედამხედველობის ფარგლები მოიცავს მხოლოდ მათ შესახებ შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონულ ბაზაში განთავსებას.

4. გარდა მხარდაჭერის მიმღები პირისა (თუ მის მხარდაჭერად დანიშნულია სადღეღამისო სპეციალიზირებული ან ფსიქიატრიული სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი), სამეურვეო/სამზრუნველო პირის სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში ან ფსიქიატრიულ სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარიზაციის პერიოდში, სააგენტო და მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო თავისუფლდება სამეურვეო/სამზრუნველო პირის პერსონალური მონახულების ვალდებულებისაგან. სამეურვეო/სამზრუნველო პირის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ საჭირო მონაცემები შესაძლებელია მიღებულ იქნეს სპეციალიზებული დაწესებულების ადმინისტრაციისაგან წერილობითი ფორმით.

5. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობა არ ხორციელდება საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე“.

6. სრულწლოვან პირებზე დაწესებული მზრუნველობის შემთხვევების ზედამხედველობა მოიცავს სამზრუნველო პირისაგან წერილობითი ფორმით ინფორმაციის მიღებას (თუ ამის საშუალებას იძლევა სამზრუნველო პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა), რომლის მოთხოვნის შესაბამისადაც ხორციელდება ზედამხედველობის შედეგების განსაზღვრა.

7. დაწესებული მხარდაჭერის შემთხვევების ზედამხედველობა მოიცავს მხარდაჭერისგან წერილობითი ინფორმაციის მიღებას დადგენილი ფორმის შესაბამისად.

8. მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეწყვეტა, მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის გადაყენება ან გათავისუფლება იწვევს ამ მზრუნველის/მეურვის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის შეწყვეტას.

მუხლი 3. მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა ელექტრონული ბაზა;

1. მეურვის/მზრუნველობის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის შედეგების ასახვის მიზნით იქმნება მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა

ელექტრონული ბაზა (შემდგომში – მონაცემთა ბაზა), სადაც მოცემულია ინფორმაცია მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის დაწესების თითოეული შემთხვევის შესახებ, სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირისა და მისი მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის პირადი მონაცემები, მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის გათავისუფლების, გადაყენების, მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეწყვეტის, ბათილობის, გაუქმების, სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის ქონებრივი უფლებების რეალიზაციისათვის თანხმობის მიღების შესახებ, . მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევების ზედამხედველობის შედეგები და სხვა ინფორმაცია (მონაცემები), რაც უკავშირდება სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირს და სააგენტოს/მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოსა და სასამართლოს გადაწყვეტილებას და მნიშვნელოვანია მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.

2. მონაცემთა ბაზის ფორმირება ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ მოპოვებული (მიღებული) ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე.

3. მონაცემთა ბაზაში მონაცემები განთავსება ხორციელდება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით (ინსტრუქცია მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის ელექტრონულ ბაზაში მონაცემების განთავსების პირობების შესახებ).

მუხლი 4. ზედამხედველობის პროცესი

1. მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის ზედამხედველობის პროცესი გულისხმობს მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის მოვალეობების განხორციელების მონიტორინგს, რომელიც ხორციელდება:

ა) დადგენილი პერიოდულობით (გეგმური ზედამხედველობა);

ბ) სააგენტოს/მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს ინიციატივით შერჩევითი პრინციპით;

გ) შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, როდესაც არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის აუცილებლობის შესახებ.

2. გეგმური ზედამხედველობა ხორციელდება ამ წესით განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 5. გეგმიური ზედამხედველობის ვადები და გეგმა

1. გეგმიური ზედამხედველობა ხორციელდება

ა) 6 თვეში ერთხელ;

ბ) სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით;

გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის საჭიროების შესახებ.

2. მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე გეგმიური ზედამხედველობა და მიღებული შედეგები მონაცემთა ბაზაში განთავსდება მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 6 თვისა,

მუხლი 6. ზედამხედველობის ფორმა

1. მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ხორციელდება ფაქტობრივი ზედამხედველობა, თუ არ არსებობს მეურვეობის/მზრუნველობის შეწყვეტის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი.

2. ფაქტობრივი ზედამხედველობა მოიცავს კანონმდებლობით ნებადართული სხვადასხვა მოქმედების განხორციელების შედეგად მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობის ფაქტობრივ შემოწმებას.

მუხლი 7. ზედამხედველობის შედეგები

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს ზედამხედველობის შედეგები აისახება დასკვნაში. შედეგების მიხედვით დასკვნა შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი ან უარყოფითი.

2. ზედამხედველობის დროს დასკვნაში ყურადღება უნდა მიექცეს სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის უპირატესი ინტერესების დაცვის საკითხს.

3. დასკვნა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამაკმაყოფილებლად იმ შემთხვევაში, როდესაც მოპოვებული ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე დასტურდება მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით

განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება (მხარდაჭერის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სფეროებში) შესაძლებლობის ფარგლებში და ადგილი არ აქვს ნაკისრი ფუნქციების განზრახ უფლებელყოფას ან სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდასაჭერი მიმღები პირის მიმართ განზრახ გულგრილ დამოკიდებულებას. დამაკმაყოფილებელი დასკვნა ინახება დადგენილი წესების შესაბამისად და დამატებით სხვა დოკუმენტი არ იქმნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზედამხედველობა განხორციელდა მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოში შემოსული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ინფორმაციის მომწოდებელი ითხოვს გატარებული ღონისძიებების შესახებ წერილობით პასუხს. ამ შემთხვევაში, ასეთი პირისათვის გაგზავნილი პასუხი უნდა მოიცავდეს ზოგად ინფორმაციას ჩატარებული სამუშაოს და მიღებული შედეგების შესახებ; პასუხში არ უნდა აისახოს მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის და სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის პერსონალური მონაცემები, იმ მონაცემების გარდა, რაც ინფორმაციის მომწოდებელმა მიუთითა განცხადებაში.

4. თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დაადგენს, რომ მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს, არღვევს სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის/მხარდაჭერის მიმღების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მას უარყოფითი დასკვნა გამოაქვს და მოქმედებს შემდეგნაირად:

ა) თუ მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მოქმედებების ინტენსივობა ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის არასაკმარისია:

ა.ა) სოციალური მუშაკის მეშვეობით ეხმარება მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს, რათა მან უკეთ გააცნობიეროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები;

ა.ბ) თავისი მოვალეობისაგან ათავისუფლებს მეურვეს/მზრუნველს;

ა.გ) მიმართავს სასამართლოს მხარდამჭერის თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები);

ბ) მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მოქმედებების ინტენსივობის შესაბამისად მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესებით.

მუხლი 8. ზედამხედველობის შედეგების სისტემატიზაცია

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ზედამხედველობის შედეგებს ან სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას ასახვას მონაცემთა ბაზაში.

2. სააგენტო უფლებამოსილია, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის საქმესთან დაკავშირებით, მონაცემთა ბაზაში ცვლილებების ასახვის მიზნით, მიმართოს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

წინამდებარე წესი აგრეთვე მოქმედებს ქმედუწუნაროდ აღიარებულ პირებზე დაწესებული მეურვეობის შემთხვევებზე, 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ ცნობილი პირის ინდივიდუალურ შეფასებამდე.